პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 30-ე წელი

სამშაბათი, 21 მარტი, 1950 წ. № 61 (8621). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ვადამდე და გადაჭარბებით შეუსრულოთ დავალებანი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია (1-ლი გვერდი).
ა. მოროზოვი—ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი (მე-2 გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
ვ. გოგუა—საზოგადოება „ტუის მეგობრობისა“ [illegible]
მი გაუფრთხილებლისათვის (მე-3 და მე-4 გვერდი).
სანიმუშოდ ჩაუბარებია საბჭო

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომში შესული ნაწარმოებნი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს მოიცავენ. ისინი დაწერილია ლენინის მიერ 1918 წლის 21 თებერვლიდან 27 ივლისამდე.

ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლება თავისი „ტრიუმფალური მსვლელობის" შემდეგ თითქმის მთელ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს მდგომარეობა არ შეიძლებოდა სავსებით განმტკიცებულად ყოფილიყო მიჩნეული, სანამ რუსეთი გერმანიასა და ავსტრიასთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მტაცებელი გერმანული იმპერიალიზმი ემზადებოდა შემოსეოდა, ხოლო შემდეგ კიდევაც შემოესია თავისი ურდოებით ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და თავის კოლონიად გაეხადა ჩვენი ქვეყანა. წყდებოდა ბედი ჩვენი სამშობლოსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, ბედი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

ამ რთულ პირობებში ლენინ-სტალინის პარტიამ ჩაშალა მტრებისა და მათი აგენტურის ყველა ხრიკები, წარმატებით ააშორა საბჭოთა რესპუბლიკას იმპერიალისტების დარტყმა, მოიპოვა მშვიდობიანი შესვენება სოციალისტური მშენებლობის მოსაწყობად.

27-ე ტომში გამოქვეყნებული მოხსენებები, სიტყვები და სტატიები მკაფიოდ ასახავენ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი მშვიდობისა და სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის ბრძოლაში. ვ. ი. ლენინის ბევრი ნაწარმოები, რომლებიც 27-ე ტომში შევიდა, მიძღვნილია საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისადმი გერმანელი იმპერიალისტების შემოსევისაგან და ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის ანტისაბჭოთა ინტერვენციისაგან, რაც 1918 წლის ზაფხულში დაიწყო. ლენინის მთელი რიგი ნაწარმოებნი აშუქებენ სოფლად სოციალისტური რევოლუციის გაჩაღებას, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ, ღარიბი გლეხობისადმი ყოველმხრივი დახმარებისა და სასურსათო დიქტატურის დამყარებისათვის. 27-ე ტომში მოთავსებული 17 დოკუმენტი პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულში.

27-ე ტომში მოთავსებული სტატიები და დოკუმენტები ნათლად გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ურღვევ თანამეგობრობას, მათს ერთობლივ მოღვაწეობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის რევოლუციის ერთ-ერთ უძნელეს პერიოდში. ლენინურ-სტალინურმა ხელმძღვანელობამ იხსნა ჩვენი სამშობლო უცხოელი იმპერიალისტებისა და შინაური კონტრრევოლუციის მხრივ საშინელი საფრთხისაგან და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ურთულესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

* * *

მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომში შესულ ნაწარმოებთა დიდი ჯგუფი. საბჭოთა სახელმწიფო იძულებული გახდა ბრესტის ზავის მძიმე პირობებზე დათანხმებულიყო, რათა შეენარჩუნებინა საბჭოთა ხელისუფლება და მოეპოვებინა მშვიდობიანი შესვენება, რაც საჭირო იყო შეიარაღებული ძალების შესაქმნელად და სოციალისტური მშენებლობის გასაჩაღებლად. ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო რღვევისა და ძველი არმიის დაშლის პირობებში გერმანიის წინააღმდეგ ომის განგრძობა საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას მოასწავებდა. სწორედ ამაზე ამყარებდნენ იმედს არა მარტო რუსეთის ბურჟუაზია, ესერები და მენშევიკები, არამედ ტროცკისტები და ბუხარინელებიც, რომლებიც რევოლუციური ფრაზებით შენიღბულნი მოქმედებდნენ.

ვ. ი. ლენინმა სტატიებში „რევოლუციური ფრაზის შესახებ", „ზავი თუ ომი?", „მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი", „უცნაური და საზარელი", „საქმიან ნიადაგზე", „სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა", გამოსვლებში პარტიის VII ყრილობაზე და საბჭოების სრულიად რუსეთის IV საგანგებო ყრილობაზე ამხილა ტროცკისტები და ბუხარინელები, როგორც გერმანელი იმპერიალისტებისათვის და ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციონერებისათვის ხელშემწყობნი, როგორც სოციალიზმისა და ხალხის ინტერესების მოღალატენი, რომლებიც თავიანთ გამცემლობას ფარავდნენ „მემარცხენე" ფრაზებით. კაიზერის გერმანიის წინააღმდეგ რევოლუციური ომის შესახებ ლენინი მიუთითებდა, რომ ტროცკი და ბუხარინი „სინამდვილეში **დაეხმარნენ** გერმანელ იმპერიალისტებს და **ხელი შეუშალეს** რევოლუციის ზრდასა და განვითარებას გერმანიაში" (თხზ., ტ. 27, გვ. 58).

ამჟღავნებდა რა ტროცკისტებისა და ბუხარინელების ნამდვილ სახეს და ასაბუთებდა რა ბრესტის მძიმე ზავის დადების აუცილებლობას, ლენინი წერდა:

„ახლა ომის წარმოება იმას ნიშნავს, რომ ობიექტურად რუსეთის ბურჟუაზიის პროვოკაციას ავყვეთ. ამ ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის, რომ რუსეთი ამჟამად უმწეოა და მას გაანადგურებენ გერმანელთა უმნიშვნელო ძალებიც კი, რომელთათვის საკმარისია გადაჭრან მთავარი რკინიგზის ხაზები, რათა დამშევით აიღონ პიტერი და მოსკოვი. ბურჟუაზიას ომი სურს, რადგან სურს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და გერმანიის ბურჟუაზიასთან შეთანხმება" (გვ. 38).

წინასწარმეტყველურად განჭვრეტდა რა მსოფლიო იმპერიალიზმის ძალებთან შეჯახების აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ბრესტის ზავის პირობებზე დათანხმება, რათა შესვენების მოპოვებით განმტკიცებულ იქნას სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, მოწესრიგდეს ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, შეიქმნას ახალი არმია, რომელსაც უნარი ექნება მთელი ხალხის მხარდაჭერით აწარმოოს ნამდვილი რევოლუციური ომი.

ლენინი მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას საერთაშორისო იმპერიალიზმისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისათვის. ლენინი აღნიშნავდა:

„სისტემატური, განუხრელი, ყოველმხრივი მომზადება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა, თვითდისციპლინა ყველგან და ყოველთვის, მძიმე დამარცხების გამოყენება ცხოვრების ყველა დარგში დისციპლინის გასაძლიერებლად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით—აი დღევანდელი ამოცანა, აი რევოლუციური ომის მომზადება საქმით და არა სიტყვით" (გვ. 39)

ლენინთან ერთად მშვიდობისათვის ბრძოლას, ტროცკისტებისა და ბუხარინელების პროვოკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა ამხანაგი სტალინი. ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აღაფრთოვანებდა და რაზმავდა ხალხის მასებს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, როცა გერმანელი იმპერიალისტები, რომლებმაც ისარგებლეს ტროცკის გამცემლობით და დაარღვიეს შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ, შემოესიენ ჩვენს ქვეყანას.

1918 წლის 21 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!". ამ მოწოდების პასუხად მუშათა კლასმა იწყო წითელი არმიის ნაწილების გამალებული შედგენა. ახალი, სოციალისტური არმიის რაზმები გმირულად იბრძოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს მათ ნარვასთან და ფსკოვთან.

ტროცკის, ბუხარინისა და სხვა მოღალატეთა ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ, პარტიის VII ყრილობამ და შემდეგ საბჭოების IV საგანგებო ყრილობამ უარყვეს ტროცკისტთა და ბუხარინელთა პროვოკატორული ხაზი და სავსებით მოიწონეს ლენინ-სტალინის ხაზი ომისა და ზავის საკითხებში. ბრესტის ზავი ხელმოწერილ იქნა.

ეს მძიმე ზავი იყო, მაგრამ ლენინს დიდად სწამდა მასების რევოლუციური ენერგია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება. „ზავის პირობები აუტანლად მძიმეა, — წერდა ლენინი სტატიაში „უბედური ზავი". — და მაინც ისტორია თავისას გაიტანს... მომავალი, მიუხედავად ყოველგვარი განსაცდელისა, — ჩვენ გვეკუთვნის" (გვ. 32).

მხოლოდ ისეთ ბელადს, როგორიც იყო დიდი ლენინი, რომელიც იცნობს ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს და რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული პროლეტარული რევოლუციისა და მშენებლობის ამოცანები და განვითარების გზები, შეეძლო, საბჭოთა ხელისუფლების აშკარა და ფარული მტრების გაფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მოეხდინა ისეთი უძნელესი შემობრუნება, როგორიც იყო ბრესტის ზავი. ამ ზავის დადებამ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა დრო მოეგოთ, გამოეყენებინათ შეტაკებანი იმპერიალიზმის ბანაკში, მოეშალათ მოწინააღმდეგის ძალები, მოეწყოთ საბჭოთა მეურნეობა, შეექმნათ საბჭოთა არმია, უზრუნველეყოთ გლეხობის მხარდაჭერა და მოეკრიბათ ძალები ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების გასანადგურებლად სამოქალაქო ომის წლებში.

* * *

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომში შესულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის მშენებლობისათვის გრანდიოზული მუშაობის პროგრამა. ეს პროგრამა გასხივოსნებულია ლენინის დაუშრეტელი რწმენით დიდი რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი. ვ. ი. ლენინი წერს ბოლშევიკების ურყევ გადაწყვეტილებაზე — აუცილებლად მიაღწიონ იმას, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუკი და უძლური, რომ იგი მძლავრი და დოვლათიანი გახდეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

„იგი შეიძლება გახდეს ასეთი, — აღნიშნავს ლენინი, — ვინაიდან ჩვენ მაინც საკმარისად დაგვრჩა სივრცე და ბუნებრივი სიმდიდრენი, რათა ყველანი მოვამარაგოთ საარსებო საშუალებათა საკმაო რაოდენობით მაინც, თუ უხვად არა. ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივ სიმდიდრეშიც, ადამიანთა ძალის მარაგშიც და დიდებულ გაქანებაშიც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ, — რათა შევქმნათ ნამდვილად მძლავრი და მდიდარი რუსეთი" (გვ. 134-135).

ლენინი მოგვიწოდებდა ბეჯითად, თანდათანობით შეგვექმნა სოციალისტური საზოგადოების მკვიდრი საძირკველი. ზავის დადებისა და შესვენების მოპოვების შემდეგ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება შეუდგნენ ამ ამოცანის გადაწყვეტას. დაიწყო პერიოდი, როცა პარტიამ და სახელმწიფომ შეძლეს შეუდგომოდნენ მშვიდობიან მშენებლობას.

„მიღწეული ზავის მეოხებით, — მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად მძიმე და არამტკიცეა, — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შესაძლებლობა ეძლევა განსაზღვრული დროით თავი მოუყაროს თავის ძალებს სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი და უძნელესი მხარის, სახელდობრ ორგანიზაციული ამოცანის გადასაჭრელად" (გვ. 209).

პარტიამ და მთავრობამ ხალხის ფართო მასებს მოუწოდეს გრანდიოზული მასშტაბის შემოქმედებითი მუშაობისაკენ საზოგადოების მთელი ცხოვრების ახალი საფუძვლების ასაშენებლად. საჭირო იყო ახალი, გაუკვალავი გზების გაკაფვა მომავლისაკენ. პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე რთული პრაქტიკული ამოცანები ისახებოდა. და პარტია ლენინისა და სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წყვეტდა ამ ამოცანებს. მოწინავე რევოლუციური თეორიით აღჭურვილმა ჩვენმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით დაძლია მტრების წინააღმდეგობა. პარტია წარმატებით წყვეტდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხებს.

ლენინის გენიალურმა ნაშრომმა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" პარტიასა და ხალხს ფართო ისტორიული პერსპექტივები გადაუშალა. ამ ნაშრომში ლენინმა გააშუქა სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთაგან ბევრი ამჟამადაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, სამეურნეო და პარტიული მუშაობის საარსებო საკითხებია და განსაკუთრებით აქტუალურია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის, რომლებიც საფუძველს უყრიან სოციალისტურ საზოგადოებას.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროლეტარული რევოლუცია ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით მშრომელების წინაშე მთავარ ამოცანად აყენებს არა დამანგრეველ, არამედ შემოქმედებითს მუშაობას.

ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის მთავარი ამოცანაა დადებითი შემოქმედებითი მუშაობა, ახალი ორგანიზაციული ურთიერთობის უაღრესად რთული და ფაქიზი ქსელის მოწყობა, ურთიერთობისა, რომელიც მოიცავს ათეულ მილიონობით ადამიანთა არსებობისათვის საჭირო პროდუქტების გეგმაშეწონილ წარმოებასა და განაწილებას. ასეთი რევოლუცია შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებით. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშრომელებს ექნებათ საკმაო შეგნებულობა, იდეურობა, თავდადება, შეუპოვრობა.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს ეკონომიური დარგი და ეს სიძნელე მდგომარეობს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის ყველგან განხორციელებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, წარმოების ნამდვილ განსაზოგადოებაში.

აღრიცხვისა და კონტროლის საკითხი ლენინს ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ სოციალისტური რევოლუციისათვის ძირითად საკითხად მიაჩნდა.

„აღრიცხვის მოწყობა, კონტროლი უმსხვილესი საწარმოებისადმი, მთელი სახელმწიფო ეკონომიური მექანიზმის ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად გადაქცევა, რომელიც ისე იმუშავებს, რომ ასეულ მილიონობით ადამიანი ერთი გეგმით ხელმძღვანელობდეს, — აი ის გიგანტური ორგანიზაციული ამოცანა, რაც ჩვენ დაგვეკისრა" (გვ. 68).

ლენინმა ეს ამოცანა ჩამოაყალიბა ყველასათვის გასაგებ მოწოდებად:

„წესიერად და კეთილსინდისიერად გასწიე ფულის ანგარიში, მომჭირნედ გაუძღვი მეურნეობას, არ იცუღლუტო, არ იქურდო, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში..." (გვ. 215).

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ლენინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის ნაყოფიერების განუხრელ გადიდებას და მშრომელი მასების შეჯიბრების მოწყობას. ფართო სოციალისტური მშენებლობის პერიოდში აუცილებლობა შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს იყო, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ლენინი წერდა, რომ მხოლოდ სოციალიზმი, რომელიც სპობს მასების დამონებას, „პირველად უხსნის გზას ნამდვილად მასობრივი მასშტაბის შეჯიბრებას" (გვ. 230). საბჭოთა ხელისუფლების დროს შეჯიბრება „უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეა" (ლენინი).

სოციალისტური მშენებლობის დაწყების გეგმას, რაც ვ. ი. ლენინმა 1918 წლის გაზაფხულზე წამოაყენა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების შესაქმნელად წარმატებითი ბრძოლისათვის. ჩვენმა დიდმა სამშობლომ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულა ლენინის მითითებანი. მიდიოდნენ რა ლენინური გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ააშენეს სოციალიზმი და ახლა მიდიან კომუნიზმისაკენ. ჩვენი სამშობლო მსოფლიოს მძლავრი მოწინავე სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

ვ. ი. ლენინის მთელი გიგანტური თეორიული და ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა მიმართული იყო პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — ბოლშევიკების პარტიის განმტკიცებისაკენ.

პარტიის VII ყრილობაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების გამოცვლის შესახებ. ლენინმა დაწვრილებით დაასაბუთა საჭიროება პარტიის ძველი პროგრამის შევსებისა იმპერიალიზმის დახასიათებით, სოციალისტური რევოლუციის დაწყებული ხანის დახასიათებით, საჭიროება იმ გამოცდილების განზოგადებისა, რომ არსებობს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფო, დემოკრატიის უმაღლესი ფორმა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობისა და სოციალიზმის აშენების უმნიშვნელოვანესი იარაღი. VII ყრილობამ ლენინის მითითებათა საფუძველზე მიიღო დადგენილება პარტიის ახალი პროგრამის შედგენის შესახებ, აგრეთვე დაადგინა, რომ ჩვენს პარტიას დარქმეოდა კომუნისტური პარტია, რადგან ეს სახელწოდება ყველაზე სწორად ასახავს იმ საბოლოო მიზანს, რომლის განხორციელებისკენაც პარტია მიისწრაფვის, — კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

27-ე ტომში შესულ ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინმა მკაფიოდ დაგვანახვა საბჭოთა სახელმწიფოს როლი სოციალიზმის მშენებლობაში და საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობა ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე. პარტიის პროგრამის პროექტის მონახაზში ლენინმა დაამუშავა ათი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განვითარების შესახებ. ეხებოდა რა საბჭოთა სახელმწიფოს უპირატესობას, ლენინი აღნიშნავდა, რომ აქ

„სიმძიმის ცენტრი გადადის თავისუფლებათა ფორმალური **აღიარებიდან** (როგორც ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დროს იყო) მშრომელების მიერ თავისუფლებით **სარგებლობის** ფაქტიური უზრუნველყოფისაკენ..." (გვ. 130).

ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას ის უნდა შეადგენდეს, რომ

„საბჭოს თვითეული წევრი აუცილებლად ასრულებდეს სახელმწიფოს მართვის მუდმივ სამუშაოს საბჭოს კრებებზე მონაწილეობასთან ერთად; — ხოლო შემდეგ ის, რომ უკლებლივ მთელმა მოსახლეობამ თანდათანობით მიიღოს მონაწილეობა როგორც საბჭოთა ორგანიზაციაში (მშრომელთა ორგანიზაციებისადმი დაქვემდებარების პირობით), ისე სახელმწიფოს მართვის სამსახურის შესრულებაში" (გვ. 129-130).

საბჭოთა დემოკრატიის განვითარება, ხალხის მასებთან მთელი სახელმწიფო აპარატის მჭიდრო კავშირი, აქტიურ მუშაობაში მათი ჩაბმა ლენინს მიაჩნდა სახელმწიფოს განმტკიცებისა და სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის მძლავრ საშუალებად. ლენინი მოგვიწოდებდა მოწყობილიყო კონტროლი ქვემოდან, მასების კონტროლი სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის საქმიანობისადმი. ხალხთან საბჭოების კავშირის სიმტკიცე, მშრომელებთან მათი სიახლოვე უზრუნველყოფს საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმატებითს ბრძოლას და ამასთანავე ხელისუფლების სიმტკიცეს.

„რაც უფრო გადაჭრით უნდა ვიცავდეთ ახლა ულმობლად მტკიცე ხელისუფლებას..., მით უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს ქვემოდან კონტროლის ფორმები და ხერხები, რათა აღმოვფხვრათ საბჭოთა ხელისუფლების დამახინჯების შესაძლებლობის ყოველი ნიშანწყალი, რათა განმეორებით და განუწყვეტლივ ვსპობდეთ ბიუროკრატიზმის სარეველა ბალახს". (გვ. 244-245).

ლენინი და სტალინი იყვნენ შემქმნელნი პირველი საბჭოთა კონსტიტუციისა, რომელიც ერთსულოვნად მიიღო საბჭოების V სრულიად რუსეთის ყრილობამ 1918 წლის ივლისში. ახასიათებდა რა ამ კონსტიტუციის მნიშვნელობას ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„...საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც, საბჭოების მსგავსად, რევოლუციური ბრძოლის პერიოდში იქმნებოდა, პირველი კონსტიტუციაა, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლებად გამოაცხადა მშრომელთა ხელისუფლება, უფლებები მოუსპო ექსპლოატატორებს..., საბჭოთა კონსტიტუცია — რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი—მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის იდეალებს გამოხატავს. ახლოვდება ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისათვის ანგარიშის გასწორების ჟამი!". (გვ. 512).

ამასთან ლენინი წინასწარ ხედავდა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ძალაუფლებასა და ყველა უფლებას ანიჭებდა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, მშრომელებს, გავრცელდებოდა

„**მთელ მოსახლეობაზე, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის შეწყვეტის მიხედვით**" (გვ. 130).

ცნობილია, რომ სოციალიზმის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ლენინის ამ მითითების განხორციელება. სტალინურმა კონსტიტუციამ ახალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა დემოკრატია, გადააქცია იგი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დემოკრატიიდან ყველას დემოკრატიად, საყოველთაო-სახალხო დემოკრატიად.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომში მოთავსებული ნაწარმოებები მკაფიოდ ასახავენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გიგანტურ ბრძოლას იმ მრავალრიცხოვან მტრებთან, რომლებიც გაფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებას და მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისათვის ირაზმებოდნენ. კულაკობა ცდილობდა ჩაეშალა პურის მონოპოლია და შიმშილით ჩაეხშო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. კადეტები, ესერები და მენშევიკები კონტრრევოლუციურ ამბოხებებს აწყობდნენ ქალაქებში. ანტანტის იმპერიალისტები, ეყრდნობოდნენ რა კულაკებისა და თეთრგვარდიელების, ესერებისა და მენშევიკების, ტროცკისტებისა და ბუხარინელების მხარდაჭერას, შემოესიენ საბჭოთა ტერიტორიას, რათა დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და თავიანთ კოლონიად გადაექციათ რუსეთი.

პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით დარაზმა მუშები და უღარიბესი გლეხები ყველა მტრული ელემენტის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისათვის. ლენინმა სასტიკი ლაშქრობა გამოაცხადა კულაკობის წინააღმდეგ. ლენინის წინადადებით შეიქმნა მუშათა სასურსათო რაზმები, რომლებიც სოფლებში გაიგზავნენ. საბჭოთა მთავრობის დეკრეტით მოეწყო ღარიბი გლეხობის კომიტეტები, როგორც სოფლად პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი პუნქტები. სახალხო კომისართა საბჭომ ამხანაგი სტალინი დანიშნა სამხრეთ რუსეთში მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელად, რომელიც აღჭურვილი იყო საგანგებო უფლებებით. ამხანაგმა სტალინმა თავისი მტკიცე მოქმედებით სწრაფად უზრუნველყო მოსკოვისა და პეტროგრადის მომარაგება სურსათით. კულაკობის წინააღმდეგობა დათრგუნვილ იქნა.

ვ. ი. ლენინი ულმობლად ებრძოდა მტრების ყველა და ყოველგვარ ხრიკს. როცა 1918 წლის ივლისში მემარცხენე ესერებმა ტროცკისა და ბუხარინის პირდაპირი მონაწილეობით კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყეს, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრით ჩაახშო მათი გამოსვლა. 1918 წლის 7 ივლისის დეპეშით, ატყობინებდა რა ამხანაგ სტალინს მემარცხენე ესერების აჯანყებას, ვ. ი. ლენინი წინადადებას იძლეოდა ულმობლად შეემუსრა ეს უბადრუკი და ისტერიკიანი ავანტიურისტები. საპასუხო დეპეშით ამხანაგი სტალინი იუწყებოდა: „რაც შეეხება ისტერიკიანებს, დარწმუნებული იყავით ხელი არ აგვითრთოლდება. მტრებს მტრულად მოვეპყრობით".

1918 წლის ზაფხულში კონტრრევოლუციონერებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, და საბჭოთა რესპუბლიკისათვის საშიში მდგომარეობა შეიქმნა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მთელი ძალების თავმოყრას აღმოსავლეთის ფრონტზე, რათა უმოკლეს ვადაში გაგვენადგურებინა მტერი. 27-ე ტომში გამოქვეყნებულია წერილი ზინოვიევის, ლაშევიჩისა და სტასოვასადმი და ბარათი „პირდაპირი მავთულით". ამ დოკუმენტებში ლენინმა დაგმო მოღალატური მოქმედება ზინოვიევისა, რომელიც ვითომდა პეტროგრადის დაცვის აუცილებლობის საბაბით ყოველნაირად აფერხებდა აღმოსავლეთის ფრონტზე პეტროგრადელი მუშების გაგზავნას და ამით ცდილობდა ჩაეშალა საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის მთელი საქმე.. ლენინი კატეგორიულად და ულტიმატუმის სახით მოითხოვდა ზინოვიევის ამ პოლიტიკის შეწყვეტას და ცენტრალური კომიტეტის პიტერის ნაწილს აკისრებდა „პასუხისმგებლობას მთელი საქმის შესაძლებელი დაღუპვისათვის" (გვ. 513).

* * *

ლენინ-სტალინის პარტია წარმატებით გაუსწორდა მრავალრიცხოვან მტრებს, გადალახა უდიდესი სიძნელენი და უზრუნველყო სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის მოძღვრებით, მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ. 27-ე ტომში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინმა განავითარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა სახელმწიფოს, ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სოციალიზმის მშენებლობის გზებისა და მეთოდების, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის, სოფლად სოციალისტური მშენებლობისა და მრავალი სხვა საკითხი. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი ჩვენს პარტიას აიარაღებენ კომუნიზმის შემდგომი მშენებლობისათვის, ისინი ყველა ქვეყნის მშრომელებს უჩვენებენ კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლების გზებს, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზებს.

ა. მოროზოვი
(„კულტურა ი ჟიზნ")

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

კრასნოდარის სამხარეო აგრონომიული სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის სოლოდჩის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხანტი-მანსიისკის ოლქის მიქოიანის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პინსკის ოლქის ლუბიეცის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტიუმენის ოლქის ისეტსკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სტუდიონოვსკის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ამურის ოლქის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეთა საოლქო თათბირმა;

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სადგურ აზოვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ალტაის მხარის ზავიალის რაიონის პაიინსკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის, სუზუნის რაიონის, ბობროვსკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეთა, მუშათა და ინტელიგენციის კრებამ;

აზერბაიჯანის ნავთის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ფსკოვის ოლქის პავის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნიე ზემლიკის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ელანის რაიონის მორეცის მტს-ის მუშათა, მოსამსახურეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა კოლექტივმა;

ტამბოვის ოლქის უვაროვოს რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის" წევრთა კრებამ;

დონის როსტოვის კინომექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ბაქოს სტალინის რაიონის ლ. კრასინის სახელობის ელექტროსადგურის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ვილნიუსის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მუშაკებმა;

მოსკოვის ოლქის ქ. ელექტროსტალის მუშა-ახალგაზრდობის № 3 საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

კალუგის საოლქო გაზეთ „ზნამიას" რედაქციისა და სტამბის თანამშრომლებმა;

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კიევის საშენი დეტალების კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მინსკის პირველი კლინიკური საავადმყოფოს სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ტაშკენტის ცენტრალური ტელეგრაფის მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის შპალიერის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მოსკოვის ოქტომბრის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის ფაბრიკა „პოლიგრაფის" მუშაკებმა;

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის პირველი პურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მოსკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი № 12 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა და მუშაკებმა;

ქ. ხანლარის აზერბაიჯანის ბიოკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვილნიუსის ეიდუკიავიჩიუსის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

გაერთიანება „აზნეფტის" ტრესტ „კიროვნეფტის" მეორე სარეწის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კოლექტივმა;

კალინინის ოლქის ქ. კუვშინოვოს № 22 სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის აღსაზრდელებმა და თანამშრომლებმა;

ქ. ხაბაროვსკის ს. მ. კიროვის სახელობის ინვალიდთა არტელის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

გორკის სელის კომბინატ „კრასნი ოქტიაბრის" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კიშინიოვის თამბაქოს კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის პირადმა შემადგენლობამ;

აზერბაიჯანის სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის შეიარაღების სამინისტროს მუშაკებმა;

ანკარაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა;

ქ. დონის როსტოვის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კრებამ;

ესტონეთის სსრ საარქიტექტურო სამმართველოს, ესტონეთის სსრ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის და რესპუბლიკურ საპროექტო ტრესტ „ესტონპროექტის" მუშაკთა კრებამ;

კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო-საზღვაო აკადემიის მატროსებმა, ზემდეგებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა, ადმირალებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის კ. დ. უშინსკის სახელობის პირველი პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტთა, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უკრაინის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა;

კიევის კერამიკულ-სამხატვრო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზოვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურებმა;

ბელორუსიის სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს ბორისოვის ავტოსარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „რადიანსკა უკრაინას" სტამბის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის სამაცივრო და რძის მრეწველობის ინსტიტუტის პროფესორებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

გაზეთ „კრასნოიარსკი ჟელეზნოდოროჟნიკის" რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. დონის როსტოვის № 49 ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

(გაგრძელება იქნება)

პარტიული ცხოვრება

უპარტიო მასებთან მუშაობის შესახებ

იმ მრავალფეროვან მუშაობაში, რასაც ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა უპარტიო მასებთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ზრუნვა მარქსისტულ-ლენინური თეორიით მშრომელთა შეიარაღებისათვის. აქ კარგად აქვთ შეგნებული, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის საჭიროა არა მარტო კომუნისტების, არამედ თვითეული მშრომელის შეგნების დონის ამაღლება.

პარტიული ორგანიზაცია სწორად მოიქცა, როცა პარტიული სწავლების ქსელში ცოდნისა და სურვილის გათვალისწინებით უპარტიოებიც გააერთიანა. თვითეული მათგანის მუშაობაზე პარტბიურომ ყოველდღიური კონტროლი დააწესა და პრაქტიკაში შემოიღო კომუნისტებთან ერთად, მათთანაც თეორიული გასაუბრების მოწყობა.

პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებათა შედეგად უპარტიოთა დიდი ნაწილი საფუძვლიანად სწავლობს ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ იმ წრეში, სადაც პროპაგანდისტია ამხ. რ. კინწურაშვილი, ბეჯითად მეცადინეობენ უპარტიოები ტატიანა გიგიაძე, შუშანა აბზიანიძე, მარიამ ყვავაძე და სხვები. ასევე ითქმის ფაბრიკის კანტორასთან შექმნილ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ წრეში გაერთიანებული უპარტიოების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმრიცხველ შ. შარაშენიძის ბეჯითი მუშაობა. იგი ყოველ მეცადინეობას ესწრება, ადგენს კონსპექტურ ჩანაწერს და სისტემატურად მონაწილეობს საკითხების განხილვაში. პროპაგანდისტის მითითებით ის კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, რაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ცოდნის შეძენაში.

საკუთარი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის სერიოზულად მუშაობენ სართავ-საჩეჩ საამქროსთან არსებული ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში გაერთიანებული უპარტიოები გ. ჩიქვაიძე, ბ. სირაძე, ვ. გოგელიძე და სხვები.

პარტბიურომ წრეების მუშაობის შესახებ საკითხი რამდენჯერმე განიხილა და კომუნისტებსა და უპარტიოებს კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებისათვის.

არანაკლებ ყურადღებას აქცევს პარტბიურო წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს. უპარტიო მუშაკებს ეხმარებიან კონსულტანტები. თავის თავზე კარგი მუშაობით გამოირჩევიან მოსამზადებელი საამქროს უფროსი ვ. ხაბურძანია, ინჟინერი ჯ. მაღლაკელიძე, ეკონომისტი შ. ლომთაძე და სხვები.

პარტიული ორგანიზაცია დაუღალავად იბრძვის მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებისათვის. უპარტიოებს ისეთი დავალებანი ეძლევათ, რაც მათ ეხმარება იდეურ-პოლიტიკურ ზრდაში. მაგალითად, ფაბრიკის ლაბორატორიის გამგეს ს. ბერეკაშვილს და გამოცდილ ფეიქარს ე. ექენკოვას მინდობილი აქვთ აგიტატორობა. პარტბიუროს დახმარებით ისინი წარმატებით უძღვებიან დაკისრებულ საქმეს. ამას წინათ პარტბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა აგიტატორ ს. ბერეკაშვილის ინფორმაცია და მიღწევებთან ერთად, აღინიშნა ნაკლოვანებანიც. მას ბიურომ მუშაობის გასაძლიერებლად კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა.

ასევე წარმატებით ასრულებენ დავალებებს უპარტიოები გ. ხაბურძანია (მოსამზადებელი საამქროს წამკითხველ-მესაუბრე), ვ. სიტნიკოვი (საფაბრიკო კედლის გაზეთის „წითელი ფეიქრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი) და სხვები.

მასების შეგნებულობის ამაღლება დიდად უწყობს ხელს მათი პოლიტიკური და საწარმოო აქტიობის ზრდას. კომუნისტებთან ერთად უპარტიოებიც ენერგიულად შრომობენ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განაღდებისათვის. სართავ-საჩეჩი საამქროს ოსტატი ბ. სვანიძე, ქვეოსტატი კ. ფირცხალავა, მოსამზადებელი საამქროს კვალიფიციური ფეიქრები დ. ბასილაძე, ზ. ნიკიტინა და ათობით სხვა უპარტიო მუშაკი შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნამდვილ მაგალითებს იძლევიან. მათთვის შრომა დიდების, სახელის და მამაცობის საქმედაა გადაქცეული. უპარტიო მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში.

პარტიული ორგანიზაცია არ ივიწყებს უპარტიოების მხატვრულ მომსახურებასაც. ფაბრიკაში ფართოდაა გაშლილი კულტმასობრივი მუშაობა. კლუბთან არსებულ თვითმოქმედ წრეებში თითქმის მთელი კოლექტივი მონაწილეობს. ამას წინათ კლუბში დიდი წარმატებით ჩატარდა კინოფესტივალი. ნაჩვენები იქნა 16 საბჭოთა კინოფილმი, მათ შორის „პარტიული ბილეთი“, „რაიკომის მდივანი“, „ლენინი 1918 წელს“, „ახალგაზრდა გვარდია“ და სხვ. განზრახულია ამ დღეებში მოეწყოს ნახული კინოფილმებიდან ზოგიერთის საჯარო განხილვა.

საფაბრიკო კომიტეტმა მუშა-მოსამსახურეებისათვის მოაწყო ლექციამოხსენებები ისეთ თემებზე, როგორიცაა „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები“, „საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის წყაროა“, „ბუნებისმეტყველება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და სხვ.

ფაბრიკის პარტბიურომ (მდივანი ბ. ყანჩაველი) კვლავ შეუნელებელი ენერგიით უნდა იბრძოლოს უპარტიო მასების იდეური აღზრდისათვის, დარაზმოს მთელი კოლექტივი საწარმოო დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ლენინგორის მეთესლეობის რაიონულმა სახელმწიფო ინსპექციამ წარმატებით დაამთავრა რაიონის კოლმეურნეობათა სათესლე მასალის განმეორებითი შემოწმება. შემოწმებულ იქნა თესლის გაღივების უნარი და სიწმინდე. თესლი მაღალი კონდიციისა აღმოჩნდა. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მეთესლეობის რაიონული სახელმწიფო ინსპექციის გამგე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ ტეხოვა და ლენინგორის რაიონის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები ე. ხოსიევა და ბ. ბითაროვა ამოწმებენ თესლის გაღივების უნარს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა!

ტრაქტორისტები პირობას ასრულებენ

დუშეთი. (საკ. კორ.). დუშეთის მტს-ის მუშაკებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება გააცნო მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ნ. ხეთაგურმა. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. ხუბაშვილმა იკისრა ყოველდღიური დავალება 105 პროცენტით შეასრულოს. ტრაქტორისტები ა. ნათელაშვილი, პ. ლაზიაშვილი და დ. ისაშვილი ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს საგაზაფხულო ხვნა-თესვა დაამთავრონ ვადამდე, ნიადაგი მოხნან წინასახნისიანი გუთნებით და გადაჭარბებით შეასრულონ დღიური დავალებანი.

ტრაქტორისტები უკვე შეუდგნენ მინდვრის სამუშაოებს და თვითეული ხნავს დღეში 9 ჰექტარს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 7 ჰექტარისა.

მტს-ის კოლექტივის ვალდებულებაა საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოების გეგმა შეასრულოს 105 პროცენტით.

გაადიდებენ მარცვლეულის მოსავალს

კაჭრეთი. (საკ. კორ.). წელს კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ დაითესება 4.100 ჰექტარი. ამ სამუშაოს შესასრულებლად ენერგიული მუშაობაა გაჩაღებული. მუშა-საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, მეტ წილ კოლმეურნეობებში საჭირო რაოდენობით აქვთ კონდიციური თესლი.

კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. სოფელ მელაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბექუაშვილმა განაცხადა:

— დადგენილებას ჩვენ ვუპასუხებთ უხვი მოსავლის მოყვანით. 421 ჰექტარ ფართობს ისე დავამუშავებთ, რომ ყოველ ჰექტარზე უზრუნველვყოფთ 17 ცენტნერი მარცვლეულის მიღებას. უკვე შევუდექით თესვას, დათესილი გვაქვს 105 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

კაჭრეთის მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში გ. ზირაქიშვილმა თქვა:

— პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მტს-ებს სერიოზული ამოცანები აკისრიათ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოკლე ვადებში შესრულება დიდად არის დამოკიდებული მტს-ის ნაყოფიერ მუშაობაზე. 1 მარტისათვის ყველა სატრაქტორო ბრიგადა მზად იყო და ახლა ისინი გავიდნენ მინდვრად ხვნა-თესვის სამუშაოებზე. ჩვენი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მექანიზატორთა კადრების მომზადება. მაგრამ ყველა ღონისძიებას განვახორციელებთ ამ ნაკლის გამოსასწორებლად, უზრუნველვყოფთ ტრაქტორების შეუფერხებელ მუშაობას.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოფელ კაჭრეთის მოლოტოვისა და კიროვის, კაკაბეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

„ბავშვთა წიგნის კვირეულის“ ჩატარების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს 1950 წლის 22 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საბლიტგამთან ერთად 20-დან 27 მარტამდე ჩაატაროს „ბავშვთა წიგნის კვირეული“.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს და კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაევალათ ყველა კლუბში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში ბავშვებისათვის მოაწყონ საბავშვო ლიტერატურული დილები და საღამოები, ბავშვთა შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, მხატვრებთან, მეცნიერებთან, წარმოების ნოვატორებთან, საბავშვო ლიტერატურის გამოფენები, მკითხველ ბავშვთა კონფერენციები საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის, ჩვენი სამშობლოს ნორჩ პატრიოტთა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ, აგრეთვე საბავშვო საბჭოთა ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ, იმ კლუბებში, რომელთაც კინოდანადგარები აქვთ, უნდა მოეწყოს კინოფესტივალები საუკეთესო კინოფილმებისა და კინოჟურნალების ჩვენებით, ბავშვთა ექსკურსიები ისტორიულ-რევოლუციური, ლიტერატურული მუზეუმებისა და გამოფენების დასათვალიერებლად, კოლექტიური დასწრება თეატრებსა და კინოებში. მშობლებისათვის უნდა ჩატარდეს ლექციები, საუბრები და კონსულტაციები ბავშვთათვის კლასგარეშე კითხვისა და წიგნების შერჩევის საკითხებზე, წესრიგზე მოყვანილ იქნას წიგნის ფონდები საბავშვო ბიბლიოთეკებში, აგრეთვე საბავშვო განყოფილებები ყველა ბიბლიოთეკაში, შევსებულ იქნას პროფკავშირული ბიბლიოთეკები საბავშვო ლიტერატურით.

პროფსაბჭოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო განყოფილებას დაევალა საბლიტგამთან და თბილისის განათლების განყოფილებასთან ერთად 24 და 25 მარტს გრიბოედოვის სახელობის თეატრში ბავშვებისათვის ჩაატაროს საერთო-საქალაქო ლიტერატურული დილა.

„საქწიგნის“ დირექციის წინაშე დაისვა საკითხი კვირეულის ჩატარების პერიოდში ვოროშილოვისა და პლეხანოვის სახელობის, სახვაჭრობისა და საზკვების მუშათა კლუბებში, მასწავლებლისა და ხელოვნების მუშაკთა სახლებში, მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, თბილისის მოედნებსა და ქუჩებში მოაწყოს საბავშვო წიგნის გასასყიდი სათანადოდ გაფორმებული კიოსკები, აგრეთვე მოძრავი კიოსკები საწარმო-დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის.

საბლიტგამისა და საქწიგნის დირექციების წინაშე დაისვა საკითხი პროფკავშირთა კლუბებში, აგრეთვე მასწავლებლისა და ხელოვნების მუშაკთა სახლებში მოაწყონ საბავშვო ლიტერატურის გამოფენები და კონსულტაციები ბავშვთა კითხვის მეთოდიკის საკითხებზე, აგრეთვე მხატვრულად გაფორმებული საბავშვო ლიტერატურის გამოფენა გრიბოედოვის სახელობის თეატრის ფოიეში — საქალაქო ლიტერატურული დილების ჩატარების დღეებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეთხოვა დახმარება გაუწიოს პროფკავშირთა კულტურულ დაწესებულებებს მკითხველ ბავშვთა კონფერენციების, მშობელთათვის საუბრებისა და კონსულტაციების ჩატარების საქმეში.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი, რომ კვირეულის პერიოდში ყველა კინოთეატრში მოეწყოს საბჭოთა საუკეთესო მხატვრული და მეცნიერული კინოფილმების კინოფესტივალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ეთხოვა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში ბავშვებისათვის მოაწყოს საუკეთესო პიესების ჩვენება. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე დაისვა საკითხი კვირეულის პერიოდში თბილისში და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში მოაწყოს მწერლების, პოეტებისა და დრამატურგების შეხვედრები ბავშვებთან.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სასოფლო საბჭო, რომელიც ცხოვრებას ჩამორჩა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 12 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს მუშაობის მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. მირიანაშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. რაისაბჭოს აღმასკომმა და პარტიის რაიკომის ბიურომ დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში აღმოსაფხვრელად.

ვ. გოგუა
საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ დაარსებიდან 2 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რიცხვი, წევრთა რაოდენობა და იგი მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარული გახდა. დიდი სახალხო მნიშვნელობა მიეცა „ტყის დღეს“. მის ჩატარებაში ქალაქის და სოფლის მოსახლეობა, მუშა, გლეხი და მოსამსახურე შეგნებულად და დიდი ხალისით იღებენ შრომით მონაწილეობას.

იმ დიდი კეთილშობილური საქმისათვის, როგორიცაა ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენება, საჭიროა მცენარეთა შესაფერისი ჯიშების ნერგების დიდი რაოდენობა. ამიტომ საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მოვალეობაა ხელი შეუწყოს სანერგე მეურნეობის ფართოდ განვითარებას. საზოგადოებამ უკვე მოაწყო დიღმის ველზე ცენტრალური სანერგე, რომელიც ერთი-ორი წლის შემდეგ მოგვცემს 2 მილიონამდე ნერგს ყოველწლიურად.

სანერგეში გამოყვანილი იქნება წიწვიანი და ფოთლოვანი ტყის ჯიშები, აგრეთვე ხეხილი, რომლებიც კარგად ეგუებიან ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების ნიადაგისა და ჰავის პირობებს.

დიღმის სანერგის მოწყობისათვის საზოგადოებამ მნიშვნელოვანი თანხები გაიღო. თანხების გაღებას საზოგადოება კვლავაც არ მოერიდება და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს მეურნეობა სანიმუშოდ მოაწყოს.

სანერგეები მოწყობილია აგრეთვე აფხაზეთში, ახალციხის, ბოლნისის, გორის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, საჩხერის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ქარელის, ტყიბულის, საჩხერისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

სამწუხაროდ, საზოგადოების მთელი რიგი რაიონული საბჭოები ჯერ კიდევ არ აქცევენ ყურადღებას სანერგე მეურნეობას. განსაკუთრებით ეს შეეხება უტყეო და მცირეტყიან რაიონებს, როგორიცაა ახალქალაქი, წალკა, ბოგდანოვკა, ასპინძა და სხვ.

ამ რაიონებში ასევე უყურადღებოდ ეკიდებიან ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებას.

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ იმ კოლმეურნეობებს, სადაც სათანადო პირობებია, რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით საწარმო-საფინანსო გეგმაში შევატანინოთ სანერგეების მოწყობა სხვადასხვა მცენარეების ჯიშების გამოსაყვანად. კარგად მოწყობილი სანერგე უდავოდ რენტაბელური მეურნეობა იქნება და შემოსავალს მისცემს კოლმეურნეობას.

საზოგადოების არსებობის პერიოდში ორჯერ ჩატარდა „ტყის დღე“ და მოსახლეობამ ამ დღეებში დიდძალი ხე და ბუჩქი დარგო.

სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში არ მოუარეს ნარგავებს, არ უზრუნველყვეს მათი დაცვა, რის გამოც ნარგავთა მნიშვნელოვანი ნაწილი გახმა. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ „ტყის დღეს“ ფერმის ტერიტორიაზე და კანტორის ეზოში 1.500 ძირამდე სხვადასხვა ჯიშის ხე და ხეხილი დარგეს, აქედან კი მხოლოდ 20-25 პროცენტმა გაიხარა.

გაგრის რაიონის № 2 დაწყებითი სკოლის ეზოში დარგული 150 ძირი მცენარიდან არც ერთი ძირი არ არის გახარებული.

წყალტუბოს რაიონის მაღლაკის ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე 2.500 ძირამდე დარგული ნერგიდან მხოლოდ 10 პროცენტია გახარებული.

ზესტაფონის რაიონში „ტყის დღეს“ დარგეს 1.200 ათასზე მეტი ძირი ხე, რომელთა დიდი უმრავლესობა მოუვლელობის გამო დაიღუპა.

მაიაკოვსკის რაიონში დარგულ 45.000-ზე მეტი ძირი ნერგიდან უმნიშვნელო პროცენტმა გაიხარა.

ასეთივე ბედი ეწია ნარგავებს ბოგდანოვკის, ახალქალაქის, წალკის, გარეუბნის, საგარეჯოს და ზოგ სხვა რაიონში.

ნარგავები გახმა არა მარტო მათი ცუდი მოვლისა და დაცვის მიზეზით, არამედ აგრეთვე იმის გამო, რომ ნერგის ამოღების, გადაზიდვისა და დარგვის დროს უხეშად არღვევდნენ დადგენილ აგროტექნიკურ წესებს.

ნერგის გადარგვა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას არ საჭიროებს, — საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, ყველამ იცის, როგორ უნდა დაირგოს ხე, და თუ მიუხედავად ამისა „ტყის დღეს“ ჩატარებულ მუშაობაში ასეთი სერიოზული ნაკლოვანებანი გვქონდა, ეს აიხსნება საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების მხრივ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

მეტწილ რაიონებში ნარგავებს კარგად მოუარეს და მათი გახარების მაღალ პროცენტს მიაღწიეს. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკები, ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის და სხვა რაიონები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კაჭრეთის რაიონის მშრომელთა კარგი მუშაობა. აქ თბილის-თელავის გზატკეცილის გაყოლებით დარგეს კაკლის ხეები და მიაღწიეს ნარგავთა გახარების მაღალ მაჩვენებელს.

კაჭრეთის რაიონის მშრომელებს არაჩვეულებრივი არაფერი გაუკეთებიათ, ისინი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ნარგავთა მოვლა-პატრონობის საქმეს; თვითეული ნარგავი მექანიკური დაზიანებისაგან დაცვის მიზნით ძეძვით შეფუთეს; გამოჰყვეს სპეციალური პირები, რომლებიც ურემზე მოწყობილი კასრებით სისტემატურად რწყავდნენ ნარგავებს. ასეთ ღონისძიებათა განხორციელება, რასაკვირველია, ყველა რაიონს შეეძლო.

წელს „ტყის დღე“ ტარდება მარტიდან 15 მაისამდე. საზოგადოება „ტყის მეგობრის“ რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა დანიშნონ „ტყის დღე“ ერთ-ერთ კვირა დღეს აღნიშნული დროის განმავლობაში. საჭიროა წინასწარ დაზუსტდეს, რამდენი და რა ჯიშების სტანდარტული ნერგი მოიპოვება რაიონში ან სხვა რაიონიდან შემოზიდვის რა საშუალება არსებობს, და ამის მიხედვით დაიგეგმოს სამუშაო „ტყის დღეს“. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ არ გამეორდეს გასული წლების შეცდომები და ნაკლოვანებანი, და „ტყის დღე“ ჩატარდეს მაღალხარისხოვნად. ახლავე გათვალისწინებულ უნდა იქნას ნარგავთა დაცვა-მოვლისათვის საჭირო ღონისძიებანი.

სამტრედიის, ლანჩხუთის და ზოგიერთ სხვა რაიონში გზების გაყოლებით ნარგავთა გაშენების გავრცელებული წესი, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ხეებს რგავენ კიუვეტებს შიგნით, არ შეიძლება მოწონებულ იქნას. გზების გაყოლებით გამწვანება მხოლოდ და მხოლოდ კიუვეტებს გარეთ უნდა ვაწარმოოთ, და, სადაც ეს შესაძლებელია, მოვაწყოთ ნარგავთა 2 და მეტ რიგად დარგვა. ამავე დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ რაიონის ყველა გზის გამწვანება ერთი და იგივე ჯიშის მცენარით, ვთქვათ აკაციით, მიზანშეწონილი არ არის. გზების გამწვანებისათვის მცენარეთა ჯიშებს სპეციალურად უნდა შერჩევა და ამის შესახებ საჭიროა ადგილზე შეთანხმდნენ ხელმძღვანელი ამხანაგები. მეტი გაბედულობით უნდა ვაშენოთ კაკლის ხეივნები. მართალია, კაკალი ძნელი გასახარებელია და ნელა იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ როცა გაიზრდება, ლამაზიცაა, დიდხანსაც ცოცხლობს და თავისი ნაყოფით გარკვეულ შემოსავალს მისცემს კოლმეურნეობას. ერთი ძირი სრულმსხმოიარე კაკლის ხე საშუალოდ 100 კილოგრამ ნაყოფს იძლევა. თუ მივიღებთ ანგარიშის გაადვილებისათვის ძირთა შორის მანძილს 10 მეტრს, მაშინ 1 კილომეტრზე მივიღებთ 2 მწკრივში 200 ძირ კაკლის ხეს, რომლებსაც შეუძლია წელიწადში მოგვცეს სულ ცოტა 20.000 კილოგრამი კაკალი. კარგი იქნება გზების გაყოლებით თუთის ხეივნების გაშენებაც. თუთა შედარებით სწრაფად იზრდება და გასახარებლადაც ადვილია. მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით კი თუთის ხეივანს კოლმეურნეობისათვის სამეურნეო მნიშვნელობაც ექნება.

გზებისა და სარწყავი არხების გაყოლებით გამწვანებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა გზათა სამმართველოებმა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ.

მიზანშეწონილია გზების გამწვანება ვაწარმოოთ თანმიმდევრობით ცალკეული უბნების მიხედვით, უზრუნველვყოთ ნარგავთა გახარება გზების გარკვეულ მონაკვეთზე და შემდეგ შევუდგეთ ახალი უბნების გამწვანებას. უკვე დროა ხელი მოვკიდოთ ტყეებისა და მწვანე ნარგავების თანმიმდევრულად გაშენებას მიწათმოქმედებისათვის უვარგის ფართობებზე, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა საწარმოების, დაწესებულებების, სკოლების და პარკებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების გასამწვანებლად. საჭიროა ამ მუშაობაში მაგალითი გვიჩვენონ სკოლებმა. მასწავლებლები, კერძოდ ბუნებისმეტყველების მასწავლებლები, ამ საქმის ნამდვილი პატრიოტები და ენთუზიასტები უნდა გახდნენ. ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ უნდა მოაწყოს არა მარტო სკოლების ტერიტორიის სანიმუშოდ გამწვანება, არამედ საერთოდ ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენების საქმეში აქტიური მონაწილეობაც მიიღოს.

დუშელმა ამხანაგებმა შარშან დაიწყეს ბაზალეთის ტბის გარშემო ტყის გაშენება. დუშელების ამ შესანიშნავ ინიციატივას სხვა რაიონებმაც უნდა მიბაძონ. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობა აქვს წალკას, სადაც შექმნილია „ხრამჰესის“ ვეებერთელა ხელოვნური ტბა, ბოგდანოვკის რაიონს — თაფარავანის ტბის გარშემო და ზოგიერთ სხვა რაიონს. ნავზე ძრავის წყალსაქაჩის მოწყობა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს და ამით კი ადვილად შეიძლება ტბის ნაპირებზე გაშენებული ნარგავების მორწყვა.

მიმდინარე წელს ნარგავთა მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ და მივაღწიოთ „ტყის დღეს“ დარგული ხეების გახარების მაღალ მაჩვენებლებს. პარტია და მთავრობა საზოგადოების მუშაობას შეაფასებენ არა იმის მიხედვით, თუ რამდენი ხე და ბუჩქი დაირგო „ტყის დღეს“, არამედ გახარებულ ნარგავთა რაოდენობით.

დიდი მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის მიდამოების გატყევებისა და გამწვანებისათვის. ამ მიმართულებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ამოცანები დასახა.

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ თბილისის ორგანიზაციებს და არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკის ყველა რაიონებისას, მოუხდებათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დიდი სახელმწიფოებრივი, სახალხო მნიშვნელობის სამუშაოთა ჩატარებაში. მეტ დახმარებას და რჩევა-დარიგებას მოველით სპეციალისტებისაგან ჯიშთა შერჩევისა და გაშენების მეთოდების დადგენის საქმეში. სამწუხაროდ, ბევრი სპეციალისტი ჯერჯერობით არ იჩენს საჭირო დაინტერესებას ამ მხრივ. ვინ, ვინ, და ტყის საქმის სპეციალისტები პირველ რიგში უნდა იყვნენ თბილისის გარშემო ტყისა და ტყეპარკების შექმნის პატრიოტები და ენთუზიასტები.

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მოვალეობაა პრესის, რადიოს და კინოს საშუალებით მოაწყოს ტყეების გაშენებისა და გამწვანების მნიშვნელობის პროპაგანდა, ჩაატაროს ლექციები, საუბრები, გამოსცეს პოპულარული ლიტერატურა, პლაკატები და სხვ. ამ მიმართულებით საზოგადოებამ ჩაატარა ერთგვარი მუშაობა. გამოცემული იყო 6 პლაკატი 60 ათასი ცალის რაოდენობით და 3 ბროშურა 22 ათასი ცალის ტირაჟით. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 9 სახელწოდების ბროშურის გამოცემა 53 ათასი ტირაჟით.

გასულ წელს საზოგადოების დაკვეთით გადაღებულ იქნა კინონარკვევი „ტყის მეგობარი“, ჩატარებულ იქნა კვალიფიციური ლექტორების მოხსენებები, ლექციები და საუბრები, მაგრამ საზოგადოების მიერ დღემდე წარმოებული საპროპაგანდო მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამ მუშაობას ხშირად კამპანიური ხასიათი ჰქონდა, ზოგჯერ ლექციები და საუბრები უხარისხო, ნაკლებად პოპულარული და ნაკლებად ქმედითი იყო.

საპროპაგანდო მუშაობას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ და იგი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ყოველდღიური მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ.

ცნობილია, რომ ტყეებსა და მწვანე ნარგავებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანისათვის, მაგრამ ამას ყოველთვის როდი ითვალისწინებენ. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც ტყის უწესო და უნებართვო ჭრით ნადგურდება ხალხის ეს უმნიშვნელოვანესი სიმდიდრე, რაც ათეული

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სესიაზე

სტოკჰოლმი, 18 მარტი. (საკდესი). სესიაზე გამოსულმა საბჭოთა დელეგატმა ზინაიდა გაგარინამ განაცხადა:

მშვიდობისათვის ბრძოლაში თავიანთი ქვეყნების ხალხებთან ერთად სულ უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ ქალები.

მილიონობით ქალმა უკვე შეიგნო და კიდევ ახალი მილიონები შეიგნებენ, რომ მშვიდობა, დემოკრატია და ახლანდელ და მომავალ თაობათა ბედნიერება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ აქტიური ქმედითი ბრძოლით.

ქალებს სულ უფრო ესმით, რომ უბრალო მშრომელთა მშვიდობიანი შრომისა და ოჯახის უშიშროება დამოკიდებულია დარაზმულობასა და იმ გადაწყვეტილებაზე, რომ დაიცვან მშვიდობის საქმე. ამიტომ წმიდა ლოზუნგს: „მშვიდობას როდი ელოდებიან, მას მოიპოვებენ" ჩვენ, ქალები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს.

მე, როგორც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის წევრმა, ვიცი, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ყველა 59 ეროვნული სექცია აძლიერებს თავის აქტივობას მშვიდობისათვის ბრძოლაში და გაბედულად გამოდის ატომური ბომბის, როგორც ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის, აკრძალვის, შეიარაღების შემცირების მომხრედ, მშვიდობის პაქტის დადებისა და ვიეტნამის, ინდონეზიის, მალაიის ხალხების წინააღმდეგ ომის შეწყვეტის მომხრედ.

ქალები ყველგან გამოდიან მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლებად. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ომის ტვირთი უწინარეს ყოვლისა ქალს აწვება მხრებზე. მაგრამ მთავარი სხვა რამეა. ქალის ცხოვრებაში, მის წარმატებათა და გაჭირვებათა შორის, არის ორი მომენტი, როცა იგი განიცდის დიდ ბედნიერებას და უდიდეს ტანჯვას. დიდია ბედნიერება დედისა, ბედნიერება — სიცოცხლე მისცეს ახალ ადამიანს, და არ არის იმაზე უფრო დიდი მწუხარება, როგორც მწუხარება დედისა, რომელმაც თავისი შვილი დაკარგა.

გერმანიისა და იტალიის ფაშიზმზე გამარჯვება, იაპონიის იმპერიალიზმზე გამარჯვება კაცობრიობას მეტად ძვირად დაუჯდა.

დაცარიელდა მილიონობით ოჯახი. მრავალმა დედამ დაკარგა შვილები. ომით გამოწვეული მწუხარება განსაკუთრებული ძალით განიცადეთ ჩვენ, საბჭოთა ქალებმა.

ჩვენ ვიცით, თუ რა არის ომი.

ქალები ყოველ ქვეყანაში მახლობლების ხსოვნისათვის, შვილების, ქმრებისა და ძმების მიერ დაღვრილი სისხლისათვის მედგარ დაძაბულ ბრძოლაში დაიცავენ მშვიდობის საქმეს. ჩვენ, საბჭოთა ქალებს — ცოლებს, დედებსა და დებს — არა გვსურს ომი და წმიდად გვწამს მშვიდობის საქმის გამარჯვება. ჩვენთვის ძვირფასია მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის ყოველი დღე და ჩვენ არ ვმალავთ ამას.

ამჟამად ჩემს სამშობლოში გაჩაღებულია უდიდესი მშენებლობა. შემდეგ ამხ. ზ. გაგარინამ მოიყვანა მრავალი ცნობა, რომლებიც ახასიათებს საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების აღდგენის წარმატებას.

უკვე ახლა, ხუთი მშვიდობიანი წლის მანძილზე, განაგრძო მან, ძლიერ ამაღლდა ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. ამას, კერძოდ, ხელი შეუწყო სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირებამ, რაც მიმდინარე წლის 1 მარტიდან მთავრობამ განახორციელა.

ცნობილია, რომ ახალი ომის გამჩაღებლები ცდილობენ ცილი დასწამონ საბჭოთა ხალხს, ბრალად დასდონ აგრესიული ზრახვები. მაგრამ უბრალო ადამიანებს დედამიწის ყოველ კუთხეში მშვენივრად ესმით, რომ ეს მართალი არ არის. ყველა უბრალო და პატიოსან ადამიანს ესმის, რომ ომი გვესაჭიროება არა ჩვენ და არა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს. იგი ესაჭიროება იმათ, ვისაც სურს გათელოს ჩვენი თავისუფლება და სხვა ხალხთა თავისუფლება, ვისაც სურს ჩვენი შვილების, მამებისა და ძმების სისხლითა და ძვლებით შეიძინოს ახალი მილიარდობით დოლარი.

ყველა ქვეყნის ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ ომი, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ, იქნება ომი არა მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ ომი ყველა ხალხის წინააღმდეგ. იგი გაანადგურებს ასეულ ათასობით მშვიდობიან ოჯახს ყველა ქვეყანაში, დაღუპავს და დაამახინჯებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ბ-ნ ჟოლიო-კიურის წინადადებას — სამხედრო დამნაშავედ გამოცხადდეს ის მთავრობა, რომელიც პირველად იხმარს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ.

მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს ომზე!

დაე 1950 წელი მშვიდობისა და დემოკრატიის ფრონტის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების წელი იყოს.

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სოფია, 18 მარტი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმმა მოისმინა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვილკო ჩერვენკოვის მოხსენება სახალხო არმიის ნაწილებში კომუნისტების მუშაობის შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი ცანკოვმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა სრულიად ბულგარეთის პარტიული კონფერენცია მოიწვიოს ამა წლის 10 მაისს სოფიაში შემდეგი დღის წესრიგით: 1. პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა; 2. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შევსება.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ივანე კინოვი და ბორიან ბოლგარანოვი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მუშაობას.

ტოკუდას „დაკითხვის" გამო

შანხაი, 17 მარტი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, 16 მარტს იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატასთან არსებული რეპატრიაციის სპეციალური კომისია შეუდგა მოწმის სახით იაპონიის კომპარტიის გენერალური მდივნის კიუიცი ტოკუდას დაკითხვას, რათა გამოერკვია საკითხი, მიმართა თუ არა ტოკუდამ თხოვნით საბჭოთა მთავრობას შეეჩერებინა იაპონელ სამხედრო ტყვეთაგან იაპონელ „რეაქციული ელემენტების" რეპატრიაცია. ეს საკითხი ამას წინათ შეიტანეს კომისიაში ეგრეთწოდებული „ამომავალი მზის" ჯგუფის რეპატრიანტებმა, ჯგუფისა, რომელიც სპეციალურად შერჩეული პირებისაგან შედგება. არსებული ცნობებით, სხდომის დაწყებამდე ამ შენობაში, სადაც კომისიას სხდომა ჰქონდა, შეიკრიბა პრესის 500 წარმომადგენელი და სხვა პირი.

თავის განცხადებაში ტოკუდამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ საკდესმა ოფიციალურად უარყო ცნობა, თითქოს იაპონიის კომპარტიამ თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობას სამშობლოში არ დაებრუნებინა „რეაქციული ელემენტები". ტოკუდამ მიმართა კომისიის თავმჯდომარეს ოკამოტოს და განაცხადა: „გთხოვთ განმიმარტოთ, რა საფუძველზე აღძრა კვლავ ზედა პალატამ ეს საკითხი".

კომისიაში, როგორც გადმოგვცემენ, „დროებით წარმოიშვა ქაოსი", რაც ბუნებრივი იყო, ვინაიდან არ არსებობდა არავითარი საბუთი, რაც დაადასტურებდა ამ რომელიღაც ჯგუფის საჩივარს, რომელიც თავს „ამომავალ მზეს" უწოდებს, რამდენადაც ეს საჩივარი ინსპირირებულია აშკარა პროვოკაციული მიზნით იაპონიის რეაქციული წრეების მიერ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა მითითებით.

კომისიის წევრები ცდილობდნენ დაემოწმებინათ ვილაც მითიური „სხვა რეპატრიანტები", რათა ბრალი დაედოთ ტოკუდასთვის, მაგრამ მათ განცხადებას აღშფოთების შეძახილებით შეხვდნენ კორესპონდენტები და სტუმრები. კომისიის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ზოგიერთ დამსწრეს დაეტოვებინა სხდომის დარბაზი.

როგორც ტოკიოს ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, ტოკუდა „სავსებით ბატონობდა კომისიის სხდომაზე" და საძნელო მდგომარეობაში აყენებდა კომისიის წევრებს, რომლებიც ცდილობდნენ ბრალი დაედოთ მისთვის.

ა. ა. ფადეევის სიტყვა მშვიდობის დასაცავად სტოკჰოლმში გამართულ მასობრივ მიტინგზე

სტოკჰოლმი, 19 მარტი. (საკდესი). მშვიდობის დასაცავად 18 მარტს სტოკჰოლმში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. ფადეევმა, რომელმაც თქვა:

ძვირფასო მეგობრებო! ვსარგებლობ შემთხვევით მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გულითადი სალამი გადმოგცეთ შვეციის კულტურის პროგრესულ მოღვაწეებს და მშვიდობის მომხრე ყველა პატიოსან ადამიანს.

მე მივესალმები უწინარეს ყოვლისა შვეციის მილიონობით უბრალო ადამიანს, ვინაიდან რომ სწორედ ისინი, უბრალო ადამიანები, წარმოადგენენ მშვიდობის მთავარ დასაყრდენს. მათი შრომა, უბრალო ადამიანების შრომა ქმნის ყოველი ნამდვილი კულტურის საფუძველს. პირველ რიგში ისინი, უბრალო ადამიანები, არიან საუკეთესო ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველნი. და ამჟამადაც ისინი არიან ნამდვილი ჰუმანიზმის მატარებლები, ვინაიდან პრივილეგიურ ადამიანთა უმრავლესობამ ჩვენს დროში უარყო ჰუმანიზმი, მაგრამ ჰუმანიზმი მუდამ ცოცხლობს ხალხის გულში, როგორც ნაპერწკალი კაჟში.

არის ხოლმე ისეთი ვითარება, როცა იგი, ეს ნაპერწკალი, არაჩვეულებრივი ძალით იფეთქებს. ბევრი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ სწორედ ასეთ დროს ვცხოვრობთ.

ევროპასა და ამერიკაში ანგარებიან ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც ოკეანის გაღმიდან ყველაზე ძლიერი და უსულგულო ჯგუფი აქეზებს, სავსებით აშკარად ემზადებიან იმისათვის, რომ ახალი ომით გამოასწორონ თავისი საქმეები. ნაცვლად იმისა, რომ აუმჯობესონ თავიანთი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობები, ეს პრივილეგიური ჯგუფები ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, მათ შორის ისეთი იარაღის მზადებას, რომელიც მოსპობით ემუქრება მილიონობით ქალებსა და ბავშვებს, მთელ ქალაქებს, მთელ ცივილიზაციას. არაჩვეულებრივად გაბერილი სამხედრო ბიუჯეტების შედეგია გადასახადები, მაღალი ფასები, დაბალი ხელფასი, რაც მძიმე ტვირთად აწვება დიდი და მცირე ქვეყნების ხალხებს.

განათლების სიკეთეთა ნაცვლად, ხალხში ადამიანობის მაღალი იდეალების დანერგვის, ეროვნული კულტურის პატივისცემის საფუძველზე დიდ და მცირე ერებს შორის მეგობრობის დანერგვის ნაცვლად, ანგარებიან ადამიანთა ხელში მყოფი გაზეთები, რადიო, კინო ომით ემუქრებიან მთელ ხალხებს, ქება-დიდებას ასხამენ ატომური და წყალბადის ბომბებით ადამიანთა მასობრივ მოსპობას, ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს ან ეროვნულ ნიჰილიზმს ევროპის შეერთებული შტატების, მსოფლიო მთავრობის ან უფრო ძლიერი ერების მიერ უფრო სუსტი ერების დამონების სხვა ფორმებს მოდური დროშით, ქება-დიდებით იხსენიებენ განგსტერებს, მოძალადეებს, მკვლელებს, მორალურად გახრწნილ ადამიანებს, რათა ხალხში განავითარონ ქვენა ინსტინქტები, რაც ხელსაყრელია დაპყრობითი ომისათვის.

ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი დრო, როცა ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანთა, მსოფლიოს ყველა მოწინავე და პატიოსან ადამიანთა მაღალი მორალური ძალებისათვის საჭირო ყოფილიყოს ისეთი დარაზმვა ომისა და კაცთმოძულეობის ყველა ამ გახრწნილი ძალების წინააღმდეგ, როგორიც დღეს არის საჭირო.

ბედნიერი ვარ, რომ აქ, მშვიდობის დამცველთა შორის, წარმოვადგენ მშვიდობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ძალას — დიდ საბჭოთა ხალხს და მის კულტურის მოღვაწეებს.

მართალია, არსებობენ გაზეთები, ამბობენ ისინი შვეციაშიც არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები, რომლებზეც მარშალის გეგმა ვრცელდება, იძულებული არიან შეიარაღდნენ იმ აგრესიის გამო, რაც მათ საბჭოთა კავშირის მხრივ ემუქრებათ. ამბობენ, აგრესიის ეს საფრთხე მშვიდობისმოყვარე შვეციასაც კი მოელისო. უფრო მკვეთრი გამოთქმა რომ არ ვიხმარო, მხოლოდ ვიტყვი: „კმარა სიცრუე, ბატონებო! თქვენს პროპაგანდაში ბოროტება უფრო მეტია, ვიდრე ჭკუა: იგი ნაანგარიშევია გამოუცდელი და ნაკლებად ინფორმირებული ადამიანებისათვის".

მშვიდობა ეწერა ახალი რუსეთის დროშებზე იმ მომენტიდანვე, როცა იგი იშვა 1917 წლის ოქტომბერში, და ახალი რუსეთის არსებობის მთელ მანძილზე ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვსურდა და გვსურს. ჩვენი ბრალი როდია, რომ ჩვენი არსებობის პირველივე დღიდან უკანასკნელ წლებამდე ჩვენი ხალხები იყვნენ ობიექტი აგრესიისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალების აგრესიისა, ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ან მათი ჯგუფების აგრესიისა, აშკარა თუ შენიღბული აგრესიისა — ყოველგვარი პროვოკაციების ან ჩვენი ქვეყნის შიგნით ძირგამომთხრელი საქმიანობის სახით.

ჩვენ იძულებული ვართ თავი დავიცვათ. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ თავს ვიცავდით არცთუ წარუმატებლად. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ არა მარტო დავიცავით ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ უკანასკნელ მსოფლიო ომში ევროპის ბევრ ხალხს დავეხმარეთ განთავისუფლებულიყვნენ დამპყრობლებისაგან და, მიუხედავად ომით გამოწვეული უდიდესი ზარალისა და ნგრევისა, საკუთარი მშვიდობიანი შრომით კვლავ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა და კულტურა, ვიდრე ომამდე იყო. ახლა იმ ადამიანსაც კი, რომელსაც შესაძლოა არ სჯეროდა ჩვენი მშვიდობისმოყვარეობა, საღმა გონებამ უნდა უკარნახოს, რომ ომი ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის. ჩვენ სულ უკეთესად და უკეთესად ვცხოვრობთ. 1947 წლიდან ჩვენ სამჯერ შევამცირეთ პროდუქტებისა და საქონლის ფასები და კვლავაც შევამცირებთ. სხვა ქვეყნების რეაქციული გაზეთები დუმილით უვლიან გვერდს ამ ფაქტს, რათა უბრალო ადამიანებმა არ დაიჯერონ, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრება სულ უფრო იაფი ხდება, მაშინ როცა მარშალიზებულ ქვეყნებში ცხოვრება სულ უფრო ძვირდება. ჩვენ შემოვიღეთ საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება ჩვენი ბავშვებისათვის. 1949 წელს ჩვენს სკოლებში 36 მილიონი ბავშვი სწავლობდა. ერთი სიტყვით, ყველა საფუძველი გვაქვს რწმენით ვუყურებდეთ მომავალს. მხოლოდ ის ძალები მიისწრაფვიან ომისაკენ, რომლებსაც მომავალი არა აქვთ, რომლებსაც არ შეუძლიათ მშვიდობიანი შეჯიბრების საფუძველზე განვითარდნენ, რომლებსაც იმედი აქვთ აგრესიის საშუალებით გამოასწორონ თავიანთი წამხდარი საქმეები.

როგორ შეუძლია საბჭოთა კავშირს ემუქრებოდეს სხვა ხალხებსა და ქვეყნებს, თუ თვითონ იგი მრავალეროვანი გაერთიანებაა, თუ მასში გაერთიანებულია 60-მდე დიდი და მცირე ერი? საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დიდი და მცირე ერების თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე რომ არ იყოს აგებული, იგი დიდი ხანია დაიშლებოდა. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის ძალა სწორედ იმაშია, რომ იგი იყრდნობა თვითეული ქვეყნის — დიდია, იგი თუ მცირე — ეროვნული დამოუკიდებლობის, ეროვნული კულტურის პატივისცემას.

საბჭოთა ადამიანებს არა სურთ თავს მოახვიონ სხვა ხალხებს თავიანთი ცხოვრების წყობა, თავიანთი აზროვნება და არც მოახვევენ თავს.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაუშვებენ, რომ ისინი ჩააყენონ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებიან ევროპის ბევრი ქვეყნის ადამიანები, როცა მათ ძალდატანებით ახვევენ თავს ეგრეთწოდებულ „ამერიკულ ცხოვრებას", ან „ამერიკულ აზროვნებას".

ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ არაფერი არ შეიძლება ძალდატანებით მოახვიო თავს სხვა ხალხს, თუ თვითონ მან არ მიიღო იგი თავისი გამოცდილებით. ხალხი არ მიიღებს იმას, რაც მისთვის უცხოა, და მოძალადე ადრე თუ გვიან დაისჯება.

მშვიდობის საკითხში ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ და ვთანამშრომლობთ იმ ადამიანებთან, რომლებიც არ ეთანხმებიან ჩვენს აზროვნებას, მაგრამ გულწრფელად უჭერენ მხარს მშვიდობას, აფასებენ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ღირსებას, დამოუკიდებლობას და თანახმა არ არიან გასცვალონ იგი ამერიკული მოწყალების ოსპის შეჭამანდში.

ჩვენ შევედით იმ პერიოდში, როცა მშვიდობის დასაცავად ყველა პატიოსანი ადამიანის გაერთიანებას შეუძლია ნამდვილად დაიცვას იგი. ხალხებს მეხსიერება აქვთ. და ყველაზე გულკეთილი ხალხებიც კი საშინელი არიან, თუ მათ გააღიზიანებთ. ახალი ომის გაჩაღების ცდას ხალხები უპასუხებენ ომის გამჩაღებელთა სასტიკად დასჯით. დაე ახსოვდეთ ეს ომის გამჩაღებლებს. გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას მშვიდობისათვის! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ჭ ა დ რ ა კ ი

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა შეჯიბრების [illegible] ფრუიძეს, ბლაღიძემ — მალაშხიას, ტიმოფეევმა წააგო ბუსლაევთან, კრიხელმა — არნშტეინთან, გაგუას და გერშკოვიჩის პარტია ყაიმით დამთავრდა, ინწკირველმა 15 სვლაში მოუგო გიორგაძეს. მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია ტურნირის უხუცესმა მონაწილემ ალამალიანმა, რომელმაც დაამარცხა შიშოვი, ქარსელაძემ მოუგო მორჩილაძეს.

მესამე ტურში ფრუიძემ მოუგო არზუმანიანს, სოროკინმა — მორჩილაძეს, ბლაღიძემ — კირკიტაძეს; ტიმოფეევ-მალაშხიას პარტია ყაიმით დამთავრდა; კრიხელმა მოუგო ბუსლაევს; გაგუას პარტია არნშტეინთან ყაიმით დამთავრდა. გიორგაძემ მოუგო გერშკოვიჩს, ალამალიანმა — ინწკირველს, შიშოვმა — ქარსელაძეს.

მეოთხე ტურში ბლაღიძემ მოუგო ფრუიძეს, სოროკინმა არზუმანიანს, კრიხელმა — მალაშხიას (უკანასკნელი სრულიად მოგებულ პოზიციაში შეცდა არასწორი შეწირვით, წააგო ერთი ფიგურა და, რასაკვირველია, პარტიაც). გიორგაძემ პარტია ყაიმით დაამთავრა არნშტეინთან.

მეოთხე ტურამდე წინ იყო ალამალიანი, რომელსაც ჰქონდა სამი ქულა, მაგრამ მეოთხე ტურში მან წააგო გერშკოვიჩთან და დაკარგა ლიდერობა. შიშოვმა ლამაზი კომბინაციით მოუგო მორჩილაძეს.

არ დამთავრებულა და გადაიდო ფრუიძე-მორჩილაძის, კირკიტაძე-არზუმანიანის, ტიმოფეევ-კირკიტაძის, ინწკირველ-ქარსელაძისა და გაგუა-ბუსლაევის პარტიები.

მეოთხე ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერები არიან სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატები ალექსანდრე ბლაღიძე და ნიკოლოზ სოროკინი.

„ჩვენი სკოლის ყმაწვილები"

ამას წინათ „საბლიტგამმა" ცალკე წიგნად გამოსცა პოეტ გ. კაჭახიძის საბავშვო პოემა „ჩვენი სკოლის ყმაწვილები".

ეს პოემა პრემირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსში.

პოემა შეეხება ნორჩი მოსწავლე მიჩურინელების საქმიანობას და შედგება თერთმეტი თავისაგან.

წიგნი, რომლის რედაქტორია ი. მოსაშვილი, ლამაზად არის გაფორმებული და ღირს 3 მანეთი.

მენდელეევის საზოგადოებაში

სამშაბათს, 21 მარტს, საღამოს 8 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ კორპუსში შედგება მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

21 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ ს. წერეთელის ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: **„მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები"**.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

21 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „სევილიელი დალაქი" (მე-6 აბ. მე-10 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ნ. ბარათაშვილი" (მე-4 სერიის მე-9 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვარდო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ფარული ომი" (დილით), „ლიკურგის კანონი" (მე-9 აბ. მე-3 სპექტაკლი); **სომხური დრამის** — „რომეო და ჯულიეტა" (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გაქვავებული ქალაქი" (10 ს. 46-ე აბ. 2 ს. 25-ე აბ.), „უეცარი სიმდიდრე" (7 ს.);

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

დაიხურა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სესია

სტოკჰოლმი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი კომიტეტის გენერალური მდივნის ლაფიტის საანგარიშო მოხსენების გამო.

შემდეგ სხდომა შეუდგა ატომური იარაღის აკრძალვისა და მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ მოწოდებათა პროექტების განხილვას.

განიხილა რა ეს პროექტები, სესიამ ერთხმად მიიღო შემდეგი მოწოდებანი:

1. ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ:

ჩვენ მოვითხოვთ აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი, როგორც აგრესიისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღი, და დაწესდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი.

ჩვენ სამხედრო დამნაშავედ ჩავთვლით იმ მთავრობას, რომელიც პირველი იხმარს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენ მოვუწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს მთელ მსოფლიოში — ხელი მოაწეროს ამ მოწოდებას.

2. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ:

ჩვენ მივმართავთ კეთილი ნების ყველა ადამიანს წინადადებით — დანიშნონ წარმომადგენლები მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც გაიმართება იტალიაში 1950 წლის მეოთხე კვარტალში.

ჩვენ მივმართავთ ყველა სოციალურ, რელიგიურ ჯგუფს და კულტურის მოღვაწეებს, ყველა პატიოსან ადამიანს, რომლებიც, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შეხედულებისა არიან ისინი ამჟამად შექმნილი დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის მიზეზებზე, გრძნობენ ამის გამო შეშფოთებას და სერიოზულად სურთ ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენა.

შეთანხმების მიღწევის საფუძვლად წინადადებას ვიძლევით — აიკრძალოს ატომური იარაღი და დაგმობილ იქნას ის მთავრობა, რომელიც პირველად იხმარს ატომურ იარაღს.

* * *

გარდა ამისა, მუდმივი კომიტეტის სესიის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი საორგანიზაციო საკითხებზე.

ამით დაამთავრა მუშაობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მესამე სესიამ.

ბელგიის მთავრობა გადადგა

ბრიუსელი, 18 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ბელგიის მთავრობის წევრთა შორის ვერ მოხდა შეთანხმება მეფე ლეოპოლდ III-ის დაბრუნების საკითხის განსახილველად დეპუტატთა პალატისა და სენატის მოწვევის თაობაზე, მთავრობა გადადგა.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

(დასასრული)

და ასეული წლების განმავლობაში შეუქმნიათ ბუნებასა და ადამიანს.

ტყეების საგრძნობი ნაწილი გადაცემული აქვთ მუდმივ სარგებლობაში კოლმეურნეობებს. სწორედ ამ ტყეების დაცვა და მოვლა-პატრონობა არაა დგას ჯეროვან სიმაღლეზე. ამის გამო ეს ტყეები მთელ რიგ რაიონებში ნადგურდება. ჩვენი საზოგადოება „ტყის მეგობრის" ადგილობრივი საბჭოები კი არ იღებენ საჭირო ზომებს საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და წესიერი ექსპლოატაციისათვის.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო ტყეებში უნებართვო ჭრისათვის დამნაშავეს იშვიათად აძლევენ სასამართლო პასუხისგებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს თავისებურად ესმის კოლმეურნეობებისათვის ტყეების მუდმივ სარგებლობაში გადაცემა. მათი ნებართვით თუ უნებართვოდ საკოლმეურნეო ტყეებში ათასობით კუბმეტრი ხე-ტყე იჭრება ყოველწლიურად, ამ ტყეების დაცვასა და აღდგენა-განახლებაზე კი ნაკლებად ზრუნავენ.

საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და განახლების საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ტყის უნებართვო ჭრის შემთხვევებს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებშიც აქვს ადგილი. მთელ რიგ შემთხვევებში უნებართვო ჭრა წარმოებს ზოგიერთი უპასუხისმგებლო „ტყის მცველის" მფარველობით. 1949 წელს სახელმწიფო ტყეებში უნებართვო ჭრის 1.150 შემთხვევა იყო აღრიცხული. ბოროტმოქმედთა მიმართ აღძრული საქმეების განხილვა ზოგჯერ ჭიანურდება. 1950 წლის 1 იანვრისათვის არ იყო გარჩეული 322 ასეთი საქმე. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ამ მიმართულებით მუშაობა, დროულად დაამთავრონ აღძრული საქმეების განხილვა და სასტიკად დასაჯონ ტყის უნებართვო ჭრაში შემჩნეული ბოროტმოქმედნი.

კარგი იქნება, რომ სასამართლოს დადგენილება ასეთ საქმეებზე ქვეყნდებოდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

საზოგადოება „ტყის მეგობარმა" საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერებით ხელი უნდა შეუწყოს ტყეების უნებართვო ჭრის მინიმუმამდე დაყვანას. საპროპაგანდო მუშაობის მიზანდასახულება სწორედ ის არის, რომ თვითეულ მოქალაქეს ჩავუნერგოთ მწვანე ნარგავებისადმი სიყვარული და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ტყისა და მწვანე ნარგავთა მნიშვნელობის პოპულარიზაციისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ რადიო, ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები. ამ საკითხზე გაზეთში გამოქვეყნებულ პატარა წერილსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. გაზეთებს კი არ გაუჭირდებათ მოათავსონ კვირაში ერთხელ მაინც წერილები ტყისა და მწვანე ნარგავთა მნიშვნელობის, მათი მოვლა-პატრონობის საკითხებზე.

მიმდინარე წლის აპრილში ტარდება საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციების საბჭოების არჩევნები. ამასთან დაკავშირებით უნდა მივაღწიოთ საზოგადოების მუშაობის კიდევ მეტად გაძლიერებას. კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და სასწავლებლებში, იქ, სადაც დღემდე არ იყო პირველადი ორგანიზაციები, ასეთები უნდა ჩამოვაყალიბოთ და მივიღოთ ზომები საზოგადოებაში წევრთა მოსაზიდად.

1950 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული იყო 9.332 პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებდნენ 810 ათასზე მეტ წევრს. ამავე დროისათვის საზოგადოებაში ირიცხებოდა 4.212 იურიდიული წევრი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, მოსწავლე ახალგაზრდობას შეგნებული აქვთ საზოგადოება „ტყის მეგობრის" მიზანდასახულება. საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა დაეხმარონ მათ გააფორმონ საზოგადოების წევრობა. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში ამ საქმეს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. ასე, მაგალითად, წითელწყაროს რაიონში მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის 300 კოლმეურნიდან საზოგადოების წევრია მხოლოდ 50; მახინჯაურის საშუალო სკოლაში 373 მოსწავლიდან და მასწავლებლიდან საზოგადოების წევრია მხოლოდ 50; მაიაკოვსკის რაიონში საზოგადოების წევრია 4.600; მცხეთის რაიონში — 1.384; ონის — 3.816; საგარეჯოს — 1.815; ყვარლის — 1.500; გორის რაიონში — 17.000, მაშინ როდესაც ამ რაიონებში ათეულ ათასობით მცხოვრებია. წევრთა რიცხვი საკმარისი არ არის ქალაქ თბილისში, სადაც საზოგადოება „ტყის მეგობარში" 105.218 წევრია გაერთიანებული.

პირველადი ორგანიზაციების საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გაძლიერებულ უნდა იქნას საწევრო გადასახადის აკრეფა და არჩევნების პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას როგორც გასული, ისე მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის მთლიანად აკრეფა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ ტყეების გაშენებასა და მათ სწორ გამოყენებას საბჭოთა მთავრობა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა ხალხისათვის ეს გასაგებია, რადგან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მუდმივ ზრუნვასთან. ტყეები კი ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია.

ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმა, რომელიც ასე წარმატებით ხორციელდება, აგრეთვე ლაპარაკობს ტყეების მრავალმხრივ მნიშვნელობაზე ხალხისათვის, მათ მნიშვნელობაზე კიდევ უფრო უკეთესი, უხვი და ბარაქიანი მოსავლის მიღებისათვის, ჯანსაღი და საამური ცხოვრების მოწყობისათვის.

საზოგადოება „ტყის მეგობარი" მოწოდებულია ხელი შეუწყოს ტყეების გაშენებისა და გამწვანების საქმეს საქართველოში. რესპუბლიკის ყველა მშრომელის და მოსწავლე ახალგაზრდობის საპატიო მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამწვანებაში, იყოს პატრიოტი და ენთუზიასტი ამ კეთილშობილური დიდმნიშვნელოვანი სახალხო საქმისა.

მოქალაქე **გლებ ანატოლის-ძე ორლოვმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ცხაკაიას ქ. № 11, აღძრა საქმე ტექნიკურ ქ. № 6 მცხოვრებ მოქალაქე **ვალენტინა პავლეს ასულ ორლოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები დომენტი, მანია, და ეთერ, ძმა ვაჟა, მამიდები, დეიდა და ბიძები ოჯახებით იუწყებიან **დოდო დომენტის ასულ გოგლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III, 5 ს. ს. წინანდალში (თელავის რაიონი).

ძმები ნიკო და ადიკო აბდუშელიშვილები ოჯახებით იუწყებიან ექიმ **გრიგოლ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-III, 7 ს. გამოსვენება 23-III, 5 ს. ჯანაშიას, 24.

მეუღლე ნატა, შვილები ეკატერინე, ქეთო, სიძეები ქ. კალანდაძე, გ. ალექსიძე, შვილიშვილები ლეილა, მორელა კალანდაძეები, იაგო, ნუგზარ, ეთერ ალექსიძეები იუწყებიან **მოსე მახარობლის-ძე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-III ქ. ცხაკაიაში, 1 მაისის ქ. 13.

ფილომინე და ანტონ ჩირაძეები, მათიკო ბერიძე, ვალერიან, ნუნუ დანელიები შვილებით იუწყებიან **ოლია გაბუნიას** გარდაცვალებას.

მარიამ და თამარ ხატიაშვილები, რევაზ ჩუხრუკიძე იუწყებიან **დიმიტრი იოსების-ძე სუხიტაშვილის** გარდაცვალებას.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან **ამირან ათანასეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

მე-3 სამშობიარო სახლის და I სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ნ. თოდრიას მისი დედის **ფოსინე დიანოსის ასულ თოდრიას** გარდაცვალების გამო.

ე. გობრონიძე, ი. მენთეშაშვილი, ლ. ნაკაშიძე, ი. კისტაკოვსკაია, თ. თურქია, გ. ყუბანეიშვილი იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის დოცენტ **გიორგი მიხეილის-ძე შენგელაიას** გარდაცვალებას.

მე-17 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის ექიმ **ნელი პატარაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ე. შენგელაიას მისი ძმის **გიორგი მიხეილის-ძე შენგელაიას** გარდაცვალების გამო.

მ. ასათიანის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ფსიქიატრიის ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების ექიმები, საშუალო და უმცროსი პერსონალი იუწყებიან განყოფილების გამგის დოცენტ **გიორგი მიხეილის-ძე შენგელაიას** გარდაცვალებას.

პროფესორები მ. წინამძღვრიშვილი და გ. მღებრიშვილი, გ. მათეშვილი, თ. ქალანთაროვა, ე. მამულაიშვილი, გ. ქობულია, ს. კობალაძე, ვ. წინამძღვრიშვილი, ლ. ფაღავა, ე. ჩლაიძე, ე. დიდია, ნ. ცომაია თანაგრძნობას უცხადებენ ი. ჯავახიშვილს მისი მამის **ვასილ პლატონის-ძე ჯავახიშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ალექსანდრა, შვილები იოსებ, დარეჯან, მარგო, რძლები თამარ, ვერა, შვილიშვილები თინა, გაიოზ, მზია, სიძე იასე ცანცაძე იუწყებიან **ვასილ პლატონის-ძე ჯავახიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-III, 5 ს. გოგებაშვილის, 44.

შვილები ეპი, ვასო, შვილიშვილები მედეა, ვენერა, გენრიეტა, ნათელა, რძლები ელენე, ქეთინო კულულაშვილები, ძმა ისმაილ კერვალიშვილი იუწყებიან **დაფინა გრიგოლის ასულ კულულაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-III, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 23-III, 5 ს. 30 წ. ეტაპის, 8.

ა. ფირცხალავა, ა. ვაჩნაძე, ი. ფრანგულაშვილი, ა. ვეკუა, ი. ღვინერია, გ. ურუშაძე, ვ. ჩაკვეტაძე, ვ. გრიგოლავა, დ. არველაძე, ხ. ზურელიდი, ა. შონია, ვ. სოსელია, გ. სანაძე თანაგრძნობას უცხადებენ რ. თოდრიას მისი დედის **ფოსინე დიანოსის ასულ თოდრიას** გარდაცვალების გამო.

ძმა პეტრე მეუღლით, დები მარიამ, სოფიო, ნინო, სიძეები ა. ტყემალაძე, ლ. ავსაჯანიშვილი, დისწულები თამარ, ქეთევან, დარიკო ტყემალაძეები ოჯახებით იუწყებიან **მიტო იოსების-ძე სუხიტაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-III, 5 ს. 30 წ. ქართველთა, 28. (26 კომისრის რაიონი).

მატრონა, არჩილ, დავით, ოლიკო და მარუსია ცაგარეიშვილები, იუწყებიან სიძის ექიმ **გრიგოლ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. გაბუნიას მისი მეუღლის **ოლიას** გარდაცვალების გამო.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-7 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ლ. კვახაძეს მისი დის **ალექსანდრა სოლომონის ასულ ბაკურაძის** გარდაცვალების გამო.

შვილი ვასო, რძალი ელენე, შვილიშვილები ვალერიან, ტუშა, ზურაბ მენაბდეები, სიძე ს. გვენეტაძე იუწყებიან **ნინო მენაბდის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-III, ს. შემოქმედში (მახარაძის რაიონი).

ქ. თბილისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ე. ხესელიას მისი ძმის **პანტელეიმონის** გარდაცვალების გამო.

დეიდა პელო მგალობლიშვილი იუწყება **ამირან ათანასეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00130